ISSN 1512-1801

სოციალური იდენტობის გავლენა კარიერის დაგეგმვის პროცესზე (საქართველო და ესპანეთი)

გაგა გვენეტაძე, ეკატერინე ფირცხალავა
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ბ 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია

სოციალურ ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანი საკითხია იმის დასახელება თუ რა არის სოციალური იდენტობა, როგორ ყალიბდება, რა გავლენა აქვს მას ადამიანის ქცევასა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სოციალური იდენტობის თეორია (SIT) აღწერს შემეცნებით პროცესებს, ხსნის ჯგუფის ლოიალობასა და ჯგუფურ დაპირისპირებას. სოციალური იდენტობის ცნება განსხვავდება პიროვნული იდენტობის ცნებისაგან, რომელიც ინდივიდის უნიკალურ ატრიბუტებს ემყარება, ადამიანებს განსხვავებული სოციალური იდენტობები აქვთ. სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, როდესაც ჩვენი ერთ-ერთი სოციალური იდენტობა გამორჩეული გახდება, ის გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. კვლევა შეეცადა სოციალური იდენტობის თეორიის ჭრილში აეხსნა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების სწავლის გაგრძელებაზე მოქმედი ფაქტორები და პასუხი გაეცა კითხვებზე, როგორია სოციალური იდენტობის გავლენა კარიერულ არჩევანზე და რომელი სოციო-კულტურული ფაქტორები ახდენს გავლენას ამ პროცესებზე. სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით, კვლევაში ჩართული პირების ნარატივის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტისთვის გზა არჩეული კარიერისკენ არ არის პირდაპირი და არ გულისხმობს, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტი აუცილებლად გააგრძლებს სწავლას ზედა საფეხურებზე. თითოეული სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას, გაჰყვეს თუ არა ამ გზას და აღნიშნულ გზაზე მათთვის არის ცალკეული დამატებითი (სოციუმი - სხვები, რასა, გეოგრაფიული არეალი, მატერიალური და ა.შ.) ფაქტორები, მათ შორის, სტუდენტის მიკუთვნებულობა რომელიმე სოციალური ჯგუფის მიმართ, და ოჯახის გამოცდილები, რომლებიც კვლევამ გამოავლინა.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური იდენტობა, კარიერის დაგეგმვა*

შესავალი

სოციალური იდენტობა სოციალური ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხია. სოციალური იდენტობის კვლევისას სოციალური ფსიქოლოგიები მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, თუ რა არის სოციალური იდენტობა, როგორ ხდება მისი ჩამოყალიბება და რა გავლენა აქვს მას ადამიანის ქცევასა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. წინამდებარე სტატიის ფარგლებში მიმოვიხილავთ თუ როგორია სოციალური იდენტობის გავლენა კარიერული განვითარების გზის არჩევის დროს.

ISSN 1512-1801

სოციალური იდენტობის თეორია (SIT) აღწერს შემეცნებით პროცესებს (სოციალური კატეგორიზაცია, სოციალური შედარება, სოციალური იდენტიფიკაცია და თვითშეფასება), და ხსნის ჯგუფის ლოიალობასა და ჯგუფურ დაპირისპირებას (Tajfel, 1978; Tajfel & Turner, 1985). სოციალური იდენტობის თეორია წინასწარმეტყველებს, რომ, როდესაც ჩვენი ერთ-ერთი სოციალური იდენტობა გახდება წამყვანი ის გავლენას მოახდენს ჩვენს ქცევაზე (Tajfel & Turner, 1985). სოციალური იდენტობის ცნება განსხვავდება პიროვნული იდენტობის ცნებისაგან, რომელიც ინდივიდის უნიკალურ ატრიბუტებს ემყარება (Tajfel & Turner, 1985). ტაჯფელი (Tajfel,1978) ამბობს, რომ ჩვენი ერთ-ერთი „სოციალური მე“ შეიძლება უფრო გააქტიურდეს (salient) შესაბამის სოციალურ გარემოში. სოციალური იდენტობის თეორიას მხარს უჭერს ჩალდინის (Cialdini,1976) და ტაჯფელის (Tajfel,1978)-ის კვლევები, რომელთა მიხედვით, ჯგუფურ მიკუთვნებულობას გავლენა აქვს ადამიანების ქცევაზე. ჩვენს შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ლიტერატურა რომელიც აღწერს თუ როგორია სოციალური იდენტობის გავლენა კარიერის დაგეგმვის პროცესზე.

წინამდებარე კვლევა სოციალური იდენტობის თეორიის (SIT, Tajfel, 1978) ჭრილში შეეცდება ახსნას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერის არჩევაზე მოქმედი ფაქტორები. თეორიის ავტორების აზრით, სოციალური იდენტობა გავლენას ახდენს სტუდენტების კარიერულ მიზნებზე (Tajfel, 1978; Tajfel & Turner, 1985). კვლევა შეეცადა პასუხი გაეცა კითხვებზე, თუ როგორია სოციალური იდენტობის გავლენა კარიერულ არჩევანზე და რომელი სოციო-კულტურული ფაქტორები მოქმედებს ამ პროცესებზე.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 კარიერის არჩევა

მომავალი სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია კარიერული გადაწყვეტილებების ორი დამოუკიდებელი ტიპი: დისციპლინური სფეროსა და აკადემიური კარიერის არჩევა (Finkelstein, 1984). სტუდენტების უმრავლესობა ირჩევს თავის დისციპლინას ბაკალავრიატის ადრეულ წლებში და მიჰყვება წინასწარ დაგეგმილ გზას (Haley, K.J., Jaeger, A.J., & Levin, J.S. 2014), თუმცა, სტუდენტების მეორე ნაწილს არ აქვთ ჩამოყალიბებული კარიერული გზა და მაგისტრატურის საფეხურზე განაგრძობს აკადემიური კარიერის მომდევნო საფეხურების დაგეგმვას (Bess, 1978); (Haley, 2006).

როგორც აღინიშნა, სტუდენტები აკადემიურ კარიერას, ძირითადად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვამდე ირჩევენ. გადაწყვეტილება კი შესაძლებელია ეყრდნობოდეს საბაკალავრო საფეხურზე კვლევებში ჩართულობას, როგორც წამახალისებელ ფაქტორს მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის. კვლევის ინტერესის გარდა, შესაძლებელია მათთვის გადამწყვეტ ფაქტორად იქცეს ფაკულტეტის მენტორებისა ან/და ინდივიდუალურ კომპეტენციებთან აღქმული/დაკავშირებული შესაბამისობებიც (Corcoran & Clark, 1984; Golde & Dore, 2001).

სამაგისტრო განათლებას რაც შეეხება, სტუდენტების სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვა და შემდგომში საგანმანათლებლო პროცესი, გავლენას ახდენს მათი კარიერული მიზნების გამორკვევაზე (Corcoran & Clark, 1984). ფინკელშტეინი (Finkelstein, 1984) აღწერს ორ კომპონენტს, რომელიც ზემოქმედებს სტუდენტის კარიერული

ISSN 1512-1801

გადაწყვეტილების მიღებაზე: 1) ადრეული განვითარების გამოცდილება და 2) კარიერაზე ზემოქმედი კონკრეტული ფაქტორები (პოტენციური ანაზღაურება, დასაქმების სფეროს არეალი და ა.შ.).

დოქტორანტის საფეხურზე სწავლის გაგრძელებასთან მიმართებით, ნერადი (Nerad, 2009) ავითარებს აზრს. მის თანახმად, არსებობს ზოგადი ვარაუდი, რომ - ყველა დოქტორანტს სურს გახდეს პროფესორი, მიუხედავად ამისა, დოქტორანტების მეოთხედი და მეცნიერების/ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტების ნახევარი არ აპირებს პროფესორობას და აკადემიური კარიერის გაგრძელებას. იმ სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომლებიც ირჩევენ აკადემიურ კარიერას ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, პროცენტულად მერყეობდა 65%-დან (გეოგრაფია) 84%-მდე (ისტორია); თუმცა, მეცნიერებასა და ინჟინერიაში ეს მონაცემები იცვლება: 19%-დან (ელექტროტექნიკა) 46%-მდე (კომპიუტერულ მეცნიერება). როგორც მკვლევარი ამბობს შესაძლებელია კურსდამთავრებულმა დოქტორანტურის დიპლომი გამოიყენოს სხვადასხვა სექტორში კარიერის შესაქმნელად, ხოლო უნივერსიტეტი, როგორც სამუშაო ადგილი, შეიძლება არ იყოს ყველაზე მიმზიდველი დასაქმების ადგილი კურსდამთავრებულთათვის (Nerad, 2009).

სტუდენტების აკადემიური კარიერით დაინტერესების მიზეზებზე ასევე საუბრობს ოსტინი (Austin, 2002). ის ამბობს, რომ სტუდენტებს იზიდავთ კვლევის, იდეებისა და სწავლების კომბინაცია. კონკრეტული მოტივატორი არის სწავლებისადმი ინტერესი, კამპუსში მუშაობა, კვლევა, ცხოვრების წესი და ფაკულტეტის წარმომადგენლის მხრიდან წახალისება. სტუდენტები, რიგ შემთხვევაში აპირებენ შეუერთდნენ პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვს, ცოდნის მიღებისა და კვლევის ჩატარების სურვილის გამოც. ასევე, სურთ ჩაერთონ სწავლებასა და კვლევით/შემოქმედებით საქმიანობაში, წვლილი შეიტანონ დისციპლინის განვითარებაში, ითანამშრომლონ საინტერესო ადამიანებთან და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა, მნიშვნელოვან აკადემიურ საქმიანობაში (Austin, 2002). გამოიყოფა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ავტონომიურობის სურვილი და პიროვნული კომპეტენციები, რომელიც გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიური კარიერის დაგეგმვის პროცესზე (Lindholm, 2004). აკადემიურ კარიერის დაგეგმვას რიგ შემთხვევაში განაპირობებს სხვადასხვა სოციო-კულტურულ ფაქტორებიც. (რასა/ეთნიკურობა; რელიგია; სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.) (Lindholm, 2004). უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები სოციალურ ცვლილებებს განმარტავენ როგორც კარიერის დაგეგმვის მოტივატორ ფაქტორებს (Lindholm, 2004); (Austin, 2002). მაგ. აფრო-ამერიკელმა სტუდენტებმა კარიერული გზები დააკავშირეს თავიანთი ცხოვრების მიზანთან, ასევე ოჯახთან, საზოგადოებასთან და რელიგიასთან (Austin, 2002). ოსტინის მიხედვით, ფერადკანიანი სტუდენტების მიერ კარიერის არჩევაზე გავლენას ახდენს ოჯახის წევრების მოსაზრება, რომელიც დომინანტურ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს ეფუძნება (Austin, 2002). მისივე გადმოცემით, უფრო ადრეული ლიტერატურა მიუთითებს, რომ სტუდენტების ოჯახები ხაზს უსვამენ ინტელექტუალურ და აკადემიურ მისწრაფებებს, მიღწევებსა და ავტონომიურობას, ხოლო შემოსავლის/ სტატუსის გაზრდა მეორე პლანზეა გადაწეული (Austin, 2002).

ISSN 1512-1801

სხვა კვლევების (Nerad, 2009); (Haley, 2006); (Lindholm, 2004) შედეგები ავითარებს აზრს, რომ მშობლის გავლენა კარიერის არჩევაზე ორიენტირებულია ოჯახის ფინანსურ საჭიროებებსა და მისწრაფებებზე. ლინდჰომი (Lindholm, 2004) აღნიშნავს, რომ სტუდენტებმა ერთ-ერთ ასეთ კვლევაში კარიერის არჩევის მთავარ ფაქტორად ფინანსური შემოსავალიც დაასახელეს. მათი ძირითადი მოტივი იყო, რომ ოჯახს ფინანსურად დახმარებოდნენ. მშობელთა მხარდაჭერამ და წახალისებამ, კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, უფრო მეტად ფერადკანიან სტუდენტებზე იმოქმედა, ვიდრე თეთრკანიანებზე. ამრიგად, თუ ფერადკანიანები მიჰყვებიან მშობლების რჩევას და თუ ფინანსური მოგება იქნება მათი მთავარი მოტივატორი, მაშინ აკადემიურად წარმატებულმა და ქმედითუნარიანმა სტუდენტებმა შესაძლებელია არჩევანი გააკეთოს ისეთი სფეროების მიმართ როგორებიცაა ინჟინერია, მედიცინა, ბიზნესი ა.შ. (Lindholm, 2004).

კიდევ ერთი საკითხი რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღწერილი ეხება გენდერულს საკითხებს და ამბობს, რომ კარიერის არჩევა ხშირად ემყარება მამაკაცისთვის დამახასიათებელ ე.წ. „მასკულინურ სამუშაოებს“ და დასავლეთ ევროპის მსოფლმხედველობას, რაც მოიცავს სამუშაოსა და ოჯახის გამიჯვნას, ინდივიდუალიზმსა და ავტონომიურობაზე აქცენტირებას, ცხოვრების ცენტრალურ ადგილზე სამსახურის დაყენებას და კარიერულ გზას, რომელიც სწორხაზოვანი და პროგრესირებადია (Haley, at all 2014).

აღნიშნული თეორიების მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოჯახის მოსაზრება, წინარე ინტელექტუალური მიღწევები, კვლევით პროცესებში ჩართულობის გამოცდილება და ავტონომიურობის სურვილი არის აკადემიური კარიერის არჩევის პირველადი ფაქტორი, ხოლო, შემოსავალი და სოციალური სტატუსი როგორც მეორადი.

1.2 სოციალური იდენტობის თეორია და საკითხის სივრცითი ხედვა

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი საკითხის შესწავლისას ყველა ავტორი არ იყენებს სოციალურ იდენტობას როგორც ამხსნელ თეორიას. ამის მაგალითია ჯონსის და მაკევენის (Jones, & McEwenK. 2000) უმაღლესი განათლების შესახებ ჩატარებული მსგავსი კვლევა, რომლის დროსაც მათ არ გამოიყენეს ტაჯფელისა და ტერნერის (Tajfel & Turner, 1979) სოციალური იდენტობის თეორიული ჩარჩო (SIT). თუმცა, სხვა არაერთი აკადემიური კვლევა სწორედ ამ თეორიას დაეყრდნო და აქცენტი გააკეთეს საერთო ღირებულებების იდენტიფიკაციის, ჯგუფების მახასიათებლებისა და ფასეულობების წინ წამოწევაზე.

ოსტინი (Ostin, 2009) და შვაიცერი (Sweitzer, 2009) თავიანთ შრომებში აღწერენ, რომ სოციალური იდენტობის თეორია ხსნის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერის არჩევის თავისებურებებს. მათი განმარტებით თეორიის ჭრილში კარიერული მიზნების ჩამოყალიბებისას კულტურის გავლენა შესაძლოა დავინახოთ კულტურულ-სოციალურ იდენტობად და შემდეგ ეს მივუსადაგოთ სტუდენტების კარიერულ მიზნებს.

SIT-ს აქვს ოთხი ძირითადი წინაპირობა: (Tajfel, 1978; Tajfel & Turner, 1985).

ISSN 1512-1801

(ა) ინდივიდები ცდილობენ მიაღწიონ პოზიტიურ თვით-კონცეფციას;
(ბ) სოციალური იდენტიფიკაცია სოციალურ ჯგუფებთან არის ინდივიდის საერთო იდენტობის ნაწილი;
(გ) ინდივიდები ეძებენ ჯგუფებს, რომლებიც გაზრდის მათ თვითშეფასებას;
(დ) ჯგუფის გამორჩეულობა, როგორც სოციალური იდენტობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, შენარჩუნებულია ჯგუფური განსხვავებებისა და ჯგუფური მსგავსებების გაზვიადებით.

მიუხედავად იმისა, რომ SIT-ზე არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი მიმართულია თეორიის შიდა/გარე ჯგუფურ ასპექტზე, ზოგიერთი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ იდენტიფიკაციაზე, როგორც ინტერნალიზაციისგან განსხვავებულ ფაქტორზე (Ashforth & Mael 1989). ინტერნალიზაცია ცენტრალურია სოციალიზაციის თეორიისთვის, თუმცა ის არ არის სოციალური იდენტობის თეორიის ცენტრალური ფოკუსი. სოციალური იდენტიფიკაცია ეხმარება ინდივიდს განსაზღვროს საკუთარი თავი (ვინ ვარ მე?), მაგრამ ეს სულაც არ იწვევს ჯგუფის გავლენით ფასეულობების ინტერნალიზებას (Ashforth & Mael 1989). ამავე თეორიის მიხედვით, კარიერაში ახალ ფეხშედგმულმა ადამიანმა (სტუდენტმა) არ არის აუცილებელი გაითავისოს და მიიღოს ყველა ის ღირებულება, რომელიც ადრე ამ როლთან იყო დაკავშირებული. პირიქით, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს განავითაროს აღნიშნული როლი. კერძოდ, მიიღოს ის თუმცა, შეინარჩუნოს სხვა ფასეულობებიც (Ashforth & Mael 1989). და ბოლოს, სოციალური იდენტობები არის ინდივიდების თვითგამოსახულების ასპექტები, რომლებიც გამომდინარეობს იმ სოციალური კატეგორიებიდან, რომლებსაც ისინი საკუთარ თავს მიაკუთვნებენ (Ashforth & Mael1989).

აღნიშნული კვლევები გვაძლევს საფუძველს კითხვები დავსვათ კურსდამთავრებულთა კულტურული და სოციალური იდენტობების გავლენის შესახებ, როდესაც ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ აკადემიურ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. მაგალითად, აქვთ თუ არა აკადემიურ კარიერასთან შედარებით ძლიერი იდენტიფიკაციის განცდა იმ სტუდენტებს, რომელთაც ფაკულტეტთან საერთო ღირებულებები გააჩნიათ? როგორ აღიქვამენ სტუდენტები ფაკულტეტის მისაბაძი მოდელების მახასიათებლებს? და რა კავშირია სტუდენტების მრავალ სოციალურ იდენტობას შორის?

შეგვიძლია შემოვიტანოთ ახალი, ,,მრავალჯერადი განვითარების იდენტობების მოდელი“, რომელიც სტუდენტების იდენტობის შესახებ ახალ ხედვას გვთავაზობს. იგი ეხება ძირითადი პიროვნული თვისებებისა და სოციალურად კონსტრუირებული იდენტობებს შორის კავშირებს. წინარე გამოცდილებებს და არსებულ პრედისპოზიციებს (რასა, ეთნიკური წარმომავლობა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია) შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, როგორც აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორებს, ან კონტექსტებს (Jones & McEwen 2000).
ბევრ კურსდამთავრებულ სტუდენტს, კულტურული მემკვიდრეობის, ან კულტურული სოციალური იდენტობის საფუძველზე, კარგად აქვს განვითარებული სოციალური იდენტობის გრძნობა. თუმცა, შესაძლებელია ნაწილი ჯერ კიდევ იდენტობის განვითარების პროცესში იყოს (Gardner, 2010). ორივე შემთხვევაში, კულტურულ-

ISSN 1512-1801

სოციალური იდენტობა მნიშვნელოვანია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი სადოქტორო პროგრამაზე აბარებენ (Austin, 2002). SIT-ზე დაფუძნებული კვლევა შეისწავლის ინდივიდების თვითკონცეფციასა და ჯგუფურ იდენტიფიკაციას, ასევე სოციო-კულტურული იდენტობის დამოკიდებულებას კურსდამთავრებულების მიერ კარიერის არჩევისას.

1.3 სოციალური ფაქტორები, რომელიც კარიერის არჩევას განაპირობებს

სოციალიზაცია, როგორც ნორმებისა და როლების მიღების პროცესი, აყალიბებს ვალდებულებასა და ლოიალობას დისციპლინის მიმართ. აღნიშნული მიდგომა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია კურსდამთავრებულთა კვლევებში (Austin, 2002). ოსტინის (2002) კვლევაში სამაგისტრო საფეხური განისაზღვრა როგორც სოციალიზაციის პროცესის დასაწყისი, რადგან სტუდენტები წინასწარ ადგენენ თავიანთ მომავალ კარიერას და იწყებენ ფასეულობების მიღებას და დარგის წარმომადგენლების ქცევაზე მორგებას.

უფრო ადრეული ლიტერატურა კი მოსალოდნელ სოციალიზაციას განიხილავდა, როგორც პროცესს, რომელიც სტუდენტს დარგში ადაპტაციას შეუმსუბუქებდა (Ashforth & Mael, 1989); (Corcoran & Clark, 1984); (Finkelstein, 1984); (Bess, 1978). ამრიგად, სოციალიზაციის თეორია შეიძლება იმის გაგებაში დაგვეხმაროს, თუ როგორ ირჩევენ სადოქტორო პროგრამების სტუდენტები მკვლევარის, მასწავლებლის და აკადემიური საქმიანობის კარიერას, მაგრამ ეს თეორია ვერ ხსნის იმ მიზნებს, რომლებსაც სტუდენტი სამაგისტრო საფეხურზე განათლების გაგრძელებამდე მიყავს (Finkelstein, 1984); (Bess, 1978).

კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებობს ,,მისაბაძი მოდელები", რომლებიც გავლენას ახდენენ სტუდენტზე. მისაბაძი მოდელების გავლენების შესახებ კვლევამ, შესაძლოა, გარკვეული ზემოქმედება იქონიოს კურსდამთავრებულების კარიერულ გადაწყვეტილებებზე, როგორც პოზიტიური პერსპექტივიდან - მისაბაძი მაგალითის არსებობა - ასევე უარყოფითი - მიბაძვის სუბიექტის არ არსებობა. სტუდენტები აკვირდებიან ფაკულტეტს, რომელზეც სწავლობენ რათა უკეთ შეიმეცნონ, როგორ ცხოვრობენ ისინი [ფაკულტეტის წარმომადგენლები] და როგორ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს ფაკულტეტები. განსაკუთრებით კი ფაკულტეტის მრჩევლები და ხელმძღვანელები, თავის პროგრამებში, გავლენას ახდენენ სამუშაო პროცესის შესახებ სტუდენტების აღქმაზე (Corcoran & Clark, 1984).

აკადემიური კვლევების ნაწილი (Haley, 2006), (Bess, 1978) კარიერის არჩევის განმაპირობებელ სოციალურ ფაქტორებზე (ოჯახი, თანატოლთა ჯგუფები, შემოსავალი ა.შ.) აკეთებს აქცენტს, თუმცა, ავტორების ნაწილის (Jones & McEwen 2000), (Lindholm, 2004) მიერ შემოთავაზებული მოდელები და ზეგავლენის სხვა ქმედითი მექანიზმები (როგორებიცაა, კულტურა და სხვადასხვა მოდელები) საკითხთან დაკავშირებით ქმნის ბინარულ ხედვას: სოციალური ფაქტორები საკმაოდ მედეგია სტუდენტების მიერ კარიერული არჩევანის გაკეთების პროცესში, თუმცა, გარდა ამისა, არსებული მოდელები თუ ხედვები, შესაძლოა, ზეგავლენის მოხდენის საშუალებად ჩავთვალოთ.

ISSN 1512-1801

2. მეთოდოლოგია

2.1. თვისებრივი კვლევის დიზაინი

ზემოაღნიშნული კვლევისთვის ჩატარდა ე.წ სამაგიდო კვლევა და მოპოვებულ იქნა კვლევები და თეორიები თეორიული ჩარჩოს შესამუშავებლად. მომდევნო ეტაპზე შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. ინტერვიუს გაიდლაინი შეიქმნა კვლევის კითხვებიდან და ძირითადი თეორიებიდან გამომდინარე. კითხვები ფოკუსირებული იყო ორი ძირითადი საკითხის მიმართ (1) "როგორია სოციალური იდენტობის გავლენა კარიერულ არჩევანზე" და (2) "რომელი სოციო-კულტურული ფაქტორები მოქმედებს ამ პროცესებზე". კვლევის პროცესში დაისვა შემდგომი, უფრო კონკრეტული კითხვები: მიმართულების არჩევისას ხომ არ იყო კონკრეტული ადამიანი, ვინც გავლენა მოახდინა მათ არჩევანზე, თუ იყვნენ დარწმუნებულნი ბაკალავრიატის მიმართულების არჩევისას და შემდეგ საფეხურებზე შეიცვალეს პროფესია, რატომ მოხდა ასე და სხვა.

პირველი ინტერვიუს ჩატარებამდე, გაიდლაინის კურსი დაიტესტა ოთხ სხვადასხვა სიმულაციურ მონაწილეზე და ადაპტირებულ იქნა საჭიროებისამებრ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Kämmer, 2017). ინტერვიუების ტრანსკრიფცია და ანონიმიზაცია მოხდა კუკარცის (Kuckartz,2014) მიერ ჩამოყალიბებული ტრანსკრიფციის წესების მიხედვით. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა კონტენტის შერჩევაზე ორიენტირებული და სტრუქტურირებული ,,კონტენტ ანალიზის'' მეშვეობით (Mayring, 2010).

მონაწილეები შეირჩა ხელმისაწვდომი შერჩევის, ე.წ ,,თოვლის გუნდა'' გამოყენებით სიღრმისეულ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 16-მა და გრანადას უნივერსიტეტის 20-მა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტმა (მათ შორის 3 ლათინო ამერიკელი და 2 ჩრდილოეთ აფრიკელი სტუდენტი). სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში მკვლევარს გარდა საშუალება ჰქონდა, ინტერვიუს პროცესში წამოჭრილი საკითხების გავრცობისა და კითხვის რესპოდენტთან შებრუნებისა. აღნიშნულმა საშუალება მისცა ინტერვიუერს, მიეღო მისთვის საინტერესო ინფორმაცია ყველა სტუდენტისგან, სტრატეგია იყო ახსნა-განმარტების ნარატივების მოძიება, რომელიც უზრუნველყოფდა სამაგისტრო სკოლის გამოცდილების პერსონიზებულ ანგარიშებს.

2.3. თვისებრივი კონტენტ ანალიზი

მაირინგი (Mayring, 2010) კონტენტ ანალიზს აღწერს როგორც სისტემურ წესს და თეორიას შეფასების პროცედურის შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის მიღებას კომუნიკაციის გარკვეული ფორმის სპეციფიკურ ასპექტებზე. თვისებრივი კვლევის კონტენტ ანალიზი ფოკუსირებულია საგანსა და კონტექსტზე და მკვლევარს აძლევს კვლევის შედეგების ანალიზისა და ძირითადი მიგნებების საშუალებას. მკვლევარს ამავდროულად აქვს ლატენტური და ინტერპრეტაციული კონტენტის/შინაარსის ანალიზის საშუალება, რომელიც ახლოსაა მონაწილეთა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან (Graneheim & Lundman, 2004). გარდა ამისა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდუქციური და დედუქციური გზებით და იძლევა შედეგების, ასევე მონაცემების ინტერპრეტაციების საშუალებას (Bengtsson, 2016, გვ. 10).

ISSN 1512-1801

3. კვლევის ანალიზი

ინტერვიუები დამუშავების დროს გამოიკვეთა ორი ძირითადი კატეგორია:
(1)სოციალური იდენტობის გავლენა - სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, სოციო-ეკონომიკური ფაქტორები; (2) სხვების აზრი - ოჯახის და მნიშვნელოვანი სხვების მოლოდინები.
კატეგორიები ჩამოყალიბდა დედუქციური მიდგომის მიხედვით (შდრ. Graneheim et al., 2017, გვ. 31). დასაწყისში ძირითადი კატეგორიები აგებული იყო ინტერვიუს გაიდლაინზე და შესაბამის თეორიებზე (შდრ. დედუქციური მსჯელობა Bengtsson, 2016, გვ. 10) და ერთმანეთისგან დიფერენცირებული იყო წინასწარ ფორმულირებული კოდირების წესების მიხედვით. მასალის პირველადი გაცნობის შემდეგ კოდირების კატეგორიები გადაიხედა ორიგინალური/პირველადი მონაცემების მიხედვით (ინდუქციური; ე.ი. შეიცვალა, დაემატა, წაიშალა ან შეერთდა ზოგიერთი კატეგორია და მოდიფიცირდა კოდირების წესები). შემდგომ ამისა, გამოვლენილი ერთეულები, რომელთაც უკვე ჰქონდათ მნიშვნელობა კვლევისთვის, გადანაწილდა კოდირების კატეგორიებზე. შედეგებისთვის, ციტატები შეჯამდა და გაერთიანდა ორ კატეგორიაში (შდრ. Bengtsson, 2016; Mayring, 2010). ბოლოს ჩვენ განვმარტეთ შედეგები და გავეცით პასუხები კვლევის კითხვებზე. მოპოვებული ინფორმაცია განთავსდა მოცემულ კატეგორიებში და ანალიზის დროს ყურადღება მიექცა ესპანეთში მცხოვრები და ქართველი სტუდენტებს შორის მსგავსება -განსხვავებებს.

4. ძირითადი მიგნებები და ანალიზი

4.1. სოციალურ იდენტობის გავლენა - სქესი, ეთნიკური წარმომავლობა

კვლევის მონაწილეთა ნარატივების მიხედვით, კვლევაში ჩართულ სტუდენტებს გადაწყვეტილებები სამაგისტრო პროგრამაში ჩაბარებამდე ჰქონდათ მიღებული. გრანადის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველადი კარიერული გადაწყვეტილებები მიიღეს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვამდე, თუმცა 7 მონაწილე თავისი არჩეული პროფესიის შეცვლის ან/და გადახედვის პროცესში იყო. დარჩენილი 13 მონაწილის კარიერული გზები მოიცავდა როგორც აკადემიურ განგრძობადობას, ასევე, მათ სურდათ ჩართულიყვნენ ინდუსტრიის/ბიზნეს საქმიანობაში, ან დაეწყოთ კარიერა ორივე მიმართულებით. ამათგან, კვლევით უნივერსიტეტში მუშაობის გაგრძელება სურდა 4 სტუდენტს, მთავრობაში ან ინდუსტრიაში დასაქმების სურვილს აღნიშნავდა 3 სტუდენტი, ღია იყო ნებისმიერი მიმართულებით კარიერის გაგრძელებისთვის 4 სტუდენტი, ხოლო, 2 სტუდენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში დასაქმება ჰქონდა გადაწყვეტილი.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიდან თექვსმეტივე მონაწილეს თავისი კარიერული არჩევანი ბაკალავრიატის დაწყებამდე ჰქონდა გაკეთებული და იმავე გზას მიჰყვებოდნენ სამაგისტრო განათლების მიმართულებით. ხოლო რაც შეეხება კარიერას, ისინი ფიქრობდნენ იმ გზას გაჰყოლოდნენ, რა მიმართულებითაც გამოჩნდებოდა პირველი შესაძლებლობა. ამავე დროს, უმრავლესობას სურვილი იყო, პარალელურად კავშირი ჰქონოდა აკადემიასთან, მომავალში ესწავლებინა ან ყოფილიყო მკვლევარი.

„სკოლაშივე გაცნობიერებული მქონდა, თუ რა მინდოდა მომავალში და ვფიქრობ, რა პროფესიასაც აირჩევ ბაკალავრიატზე, ის უნდა აირჩიოს და გააგრძელო მაგისტრატურაზეც. თუმცა, არსებობს სხვაგვარი შეხედულებებიც. საქართველოში

ISSN 1512-1801

პროფესიით დასაქმება რთულია, ამიტომ, შეძლებისდაგვრად ცდა ღირს, თუმცა, მგონია, რომ ხელსაყრელ ვარიანტს დაველოდები.“
(22 წლის, მდედრ., ფსიქოლოგია, საქართველო)

,,მიუხედავად იმისა, რომ სიღრმისეულად ამაზე არ მიფიქრია, აკადემიური კარიერა ძალიან საინტერესოა და შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებლად ავირჩევდი.“
(21 წლის, მამრ., სოციოლოგია, საქართველო)

კვლევის მონაწილე გრანადის უნივერსიტეტის და თსუს სტუდენტების გადაწყვეტილება, რომ თავიანთი კარიერა გაეგრძელებინათ აკადემიაში ან ინდუსტრიაში, ემყარებოდა სამუშაოს მოქნილობას, გათვლას მოსალოდნელ ხელფასზე და პოტენციურ გავლენებს საზოგადოებაზე. ოჯახთან ახლოს ყოფნა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე, ყურადღება ექცეოდა პოტენციური კარიერის შესაბამისობას მათ უნარებსა და ინტერესებთან. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ყველა ამ ფაქტორზე გავლენას ახდენდა მათი სოციალური იდენტობა. მაგალითად, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში: სამუშაოს მოქნილობა და მდებარეობა გადამწყვეტი ფაქტორი იყო, მათი ოჯახური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. მონაწილეებმა აღნიშნეს თავიანთი დამოკიდებულება (მოწონება/არმოწონება) ფაკულტეტისა და ზოგადად კარიერის მიმართაც.

„მსურს გავხდე საჯარო მოხელე (un funcionario), რადგან ამ შემთხვევაში მექნება შესაძლებლობა ჩემს ოჯახთან ახლოს ვიყო და საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარება სწრაფად აღმოვუჩინო. აღნიშნული სამსახური მომცემს საშუალებას მთელი ცხოვრების განმავლობაში მქონდეს მაღალანაზღაურებადი სამსახური და სტაბილურობა, მეტი დრო მექნება ჩემი ოჯახისთვის და მეგობრებისთვის. თუმცა რთულია ესპანეთში ამ სამსახურის გამოცდების ჩაბარება, იმედია მოვახერხებ.“
(25 წლის, მამრ., განათლების მეცნიერებები, ესპანეთი)
„პირად პრაქტიკასთან ერთად ასევე მსურს გავხდე ლექტორი, რადგან მიყვარს სტუდენტებთან ურთიერთობა, ვფიქრობ, მათ კარგი ანაზღაურება აქვთ და ამ ანაზღაურებით და მოქნილი სამუშაო გრაფიკით შევძლებ ჩემს ოჯახზეც ვიზრუნო.“
(22 წლის, მდედრ., ფსიქოლოგია, საქართველო)

გრანადაში სტუდენტთა უმეტესობა აქცენტს აკეთებდა რასობრივ, ეთნიკურ ან კულტურულ ფაქტორებზე - ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის მისაბაძი მაგალითი. ვინაიდან, მიკუთვნებულობა, ისეთი, როგორიცაა რასა, ან ეთნიკურობა ან რაიმე კულტურული ფენომენი დიდ როლს თამაშობს ,,ჯგუფის'' ფსიქოლოგიის იდეაში. იმისათვის, რომ ინდივიდმა ჯგუფის ჯგუფის სრულფასოვან ნაწილად იგრძნოს თავი, ის ყველაფერს აკეთებს, რომ გარდა საერთო დამახასიათებელი ფენომენისა (რასა, რელიგია აშ) ის მაქსიმალურად რეფლექსირებს განვითარების სხვადასხვა მეთოდზე. მათ შორის, კარიერულზე (Paul B. Paulus 1989). ვინაიდან, მას თავის დამკვიდრება უწევს როგორც ჯგუფში, ასევე ჯგუფის გარეთ ,,სხვებში“. ამიტომაც, სხვადასხვა ჯგუფებში, სხვადასხვა ფაქტორების მქონე ინდივიდებს და მათზე ზემოქმედ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდივიდის ჩამოყალიბების, ასევე, კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც სოციალიზაციაზე ახდენს გავლენას, სტუდენტების მხრიდანაც დასახელდა.

ISSN 1512-1801

„მსურს რომ გავხდე წარმატებული მკვლევარი, რადგან კვლევის მეშვეობით დავუბრუნდები საზოგადოებას. შევეცდები ხალხს დავანახო ის მანკიერი მხარეები, თვისებები და ჩვევები რაც უახლოეს წარსულში შევიძინეთ.“
(24 წლის, მდედრ., ანთროპოლოგია, საერთაშორისო სტუდენტი, ესპანეთი)

„ძალიან ცოტა ლათინო-ამერიკელს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს სწავლა და მიიღოს დოქტორის ხარისხი; ამიტომ, მსურს ვიყო მაგალითი და გავდე უნივერსიტეტის პროფესორი. ამით ვაჩვენებ ჩემს საზოგადოებას, რომ შესაძლებელია ჩამოვიდე ესპანეთში და გავხდე ინჟინერიის პროფესორი.“
(25 წლის, მამრ., ინჟინერია, საერთაშორისო სტუდენტი, ესპანეთი)

რაც შეეხება სტუდენტებს საქართველოდან, ისინი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავდნენ, რომ სურდათ საზღვარგარეთ გაეგრძელებინათ სწავლა (მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რადგან ეს შესაძლებლობას მისცემდათ გაემყარებინათ ოჯახის სოციალური კეთილდღეობა და აემაღლებინათ სოციალური სტატუსი.

„მინდა რომ საზღვარგარეთ წავიდე, ყოველდღე ვმეცადინეობ, რათა გავიუმჯობესო უცხო ენის კომპეტენცია. საზღვარგარეთ წასვლა დამეხმარება უკეთესი განათლების მიღებაში და უკან დაბრუნების შემთხვევაში ვიქნები უფრო კონკურენტუნარიანი. ასევე, განვიხილავ უცხოეთში დარჩენის შესაძლებლობასაც.“
(21 წლის, მამრ., სოციოლოგია, საქართველო)

„მე გადავწყვიტე კარიერა ამერჩია საკუთარი მიზნების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში რა თქმა უნდა ვესაუბრებოდი ოჯახს ასევე, უფროს მეგობრებთან ვსაუბრობდი. რადგან ოჯახში მე ვიყავი პირველი ვინც მაგისტრატურის საფეხურზე ვაგრძელებდი სწავლას, მინდოდა არჩევანი რაციონალური და აწონ-დაწონილი ყოფილიყო.“ (21 წლის, მდედრ., ფსიქოლოგია, საქართველო)

ზემოგამოთქმულ მოსაზრებებში ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ სტუდენტების უმრავლესობა გადაწყვეტილებას იღებს, ფიქრობს საზღვარგარეთ სწავლეზე და სამსახურის დაწყებაზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონკურენტუნარიანი შემოსავალი ჰქონდეს და ამით კეთილდღეობა მოიწყოს, არამედ იმიტომაც, რომ ეს მათ თემს სოციალურად მოერგება.

გრანადის და თსუ-ს უნივერსიტეტების სტუდენტების არჩევნის შედარებისასა უნდა გავითვალისწინოთ ორივე ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, ესპანეთი ევროკაშირის წევრი ქვეყანაა და საქართველოსთან შედარებით ეკონომიკურად და სოციალურად მდგრადი, ხოლო საქართველო კი ევროკაშირის წევრობის გზაზე შემდგარი ეკონომიკურად არამდგრადი და გეოპოლიტიკურად განსხვავებული, სადაც სამუშაო ადგილების პოვნა მხოლოდ განათლებაზე ან პირად სურვილზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუდენტების ნარატივებში სწორედ ეს განსხვავებაც არის ასახული. ქართველი სტუდენტები დიდ აქცენტს აკეთებდნენ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მოპოვების მნიშვნელობაზე, რაც ესპანელების შემთხვევაში არ იყო გადამწვეტი ფაქტორი.

4.2. სხვების აზრი - „ოჯახის და მნიშვნელოვანი სხვების მოლოდინები“

ჯგუფთან მიკუთვნებულობისა და „სხვების“ ფენომენოლოგია ედმუნდ ჰუსერლის (1906) ეკუთვნის, რომელიც „სხვების“ კონცეფციას ინტერ-სუბიექტურობის და გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავდა.

ISSN 1512-1801

სოციალური იდენტობის კონსტრუირების პროცესში, გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა (რასა, რელიგია, კულტურა ა.შ.) სოციუმი და ე.წ. „სხვების“ იდეებიც დიდ როლს თამაშობს. „სხვის“ ფენომენში არ შედის ოჯახი, რომელიც ინდივიდის გადაწყვეტილებისა და ინდივიდუალიზმის საწყისად ითვლება (Zuckermann, Ghil'ad 2006).

სოციალური იდენტობის ჩამოყალიბების დროს არსებობს „სხვების“ ორი ჯგუფი. პირველი ,,ჩვეულებრივი სხვები“ და ,,მნიშვნელოვანი სხვები“ (Zuckermann, Ghil'ad 2006). „ჩვეულებრივი სხვები“ ეს არის სანაცნობო წრის, შორეული ნათესავებისა და ახლობლების ერთობლიობა, რომელთა ზეგავლენა ინდივიდის გადაწყვეტილების მიღებაზე არც თუ ისე მაღალია. მაშინ, როდესაც „მნიშვნელოვანი სხვები“ (თანატოლთა ჯგუფები, მეზობლები და ირგვლივ მყოფი საზოგადოება, უახლოესი ნათესავები, მასწავლებლები ა.შ.) მნიშვნელოვნად მოქმედებენ სუბიექტის პერსონიფიცირებაზე. მეს მთავარი საყრდენია მნიშვნელოვანი სხვები ადამიანების მიერ მისი აღიარება (Derrida,1973).

ჩვენი კვლევის მიხედვით, კარიერის არჩევისას სტუდენტების გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მომხდენი ფაქტორი ე.წ. „სხვების“ აზრია. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ კარიერული გადაწყვეტილებების მიღება ნაწილობრივ ემყარებოდა მათდამი ოჯახის მოლოდინებს და სტუდენტების განზრახვას, გამხდარიყვნენ მისაბაძი თავიანთი თემისათვის, ხოლო ამ ფაქტორის გარდა არსებობდა თანამდებობრივი სარგოს, თუ სხვადასხვა მატერიალური ინტერესების ფაქტორებიც. თუმცა, პროცედურულად ორივე ხედვა მაინც იყო შესაძლებელი: გქონოდა რეალურად მაღალი შემოსავალი და ამასთანავე, ყოფილიყავი მისაბაძი სოციუმისთვის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყვნენ გაფართოებული (extended) ოჯახის წევრებიც. აღნიშნული გადაწყვეტილებებს სტუდენტები ხსნიდნენ იმით, რომ კარიერულ არჩევანს არა მხოლოდ მათი ოჯახის ინტერესების გათვალისწინებისთვის, არამედ მათი საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვისაც აკეთებდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტებმა ინდივიდუალურად-ოჯახისა და საზოგადოებისგან დამოუკიდებელად აირჩიეს კარიერა.

ზოგიერთისთვის ე.წ. „ოჯახის განათლების“ ღირებულებად აღიარება მათი გადაწყვეტილებების შესწავლის არსებითი ნაწილი იყო.

„მე ვარ ყველაზე პატარა ოჯახში და ჩვენ პირველი თაობა ვართ, როცა ყველას გვაქვს კოლეჯის ხარისხი.“
(23 წლის, მდედრ., ხელოვნება, ესპანეთი)

განათლებას რომ ძალიან დიდი ღირებულება ჰქონდა ოჯახის გავლენით კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო ერთ-ერთი სტუდენტის შემთხვევაში:

„განათლება ნამდვილად მნიშვნელოვანი ღირებულებაა ჩემი ოჯახისთვის, რადგან, როცა ვიზრდებოდი. . . . მე მაქვს ის შესაძლებლობა, რაც ჩემს ქვეყანაში ბევრ ჩემს თანატოლს ჯერ კიდევ არ აქვს და არც დედაჩემს ჰქონია, ამიტომ ვსარგებლობ ამით,

ISSN 1512-1801

რომ მაქვს საშუალება სხვა ქვეყანაში ვისწავლო უმაღლესი განათლების საფეხურზე და წვლილი შევიტანო ოჯახის სოციალური საფეხურის განვითარების და გამყარებაში.“
(21 წლის, მდედრ., ბიოლოგია, ესპანეთი)

კვლევის მონაწილის ოჯახისთვის განათლების მიღების შესაძლებლობა იყო ის უნიკალური შემთხვევა, რომელიც მის მსგავს ბევრს არ ჰქონდა და შესაბამისად, კარიერაც ოჯახთან კონსულტირების შემდეგ აარჩია.

რამდენიმე სტუდენტისთვის, როგორც საქართველოში, ასევე ესპანეთშიც, ცხოვრებისეული მიზნები მჭიდროდ უკავშირდებოდა ოჯახის მოლოდინებს. ისინი ეძებდნენ ,,დამაკმაყოფილებელ“ კარიერას და აქტიურ როლს თავის კულტურულ თუ გეოგრაფიულ საზოგადოებაში. ამ სტუდენტებმა საკუთარი მშობლები დაასახელეს, როგორც მისაბაძი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ჰქონოდათ ინტეგრირებული ცხოვრება; როგორ გამხდარიყვნენ გაფართოებული ოჯახისა და სრულფასოვანი საზოგადოების ნაწილი და როგორ აღეზარდათ თავიანთი შვილები.

კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ (22 წლის, მამრობითი, ნეირომეცნიერება, ესპანეთი) აღნიშნა, რომ როდესაც ის იყო ბავშვი, მამამისი ესწრებოდა მის ყველა სპორტულ ღონისძიებას (მას „უნდოდა გამხდარიყო მამამისი“) და ამიტომ ეძებდა კარიერას, რომელიც საშუალებას მისცემდა აქტიურად ჩართულიყო მისი მომავალი შვილების ცხოვრებაში. ისიც ფიქრობს, რომ მამამისის მსგავსად აქტიურად დაეხმარება თავის ოჯახს და იქნება ყოველთვის მათ გვერდით როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად.

კვლევის მონაწილე სხვა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ჩამოიყალიბეს საკუთარი სოციალური როლები საზოგადოებაში, არ სურდათ შორს წასულიყვნენ კარიერის/სამსახურის გამო, დაეთმოთ მეგობრებთან ან/და ოჯახის წევრებთან გატარებული დრო.

„ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი კონკრეტულ საზოგადოებაში მაქვს გატარებული და არ მსურს დავტოვო საკუთარი მშობლიური ქვეყანა, ოჯახი, თუმცა, ქალაქის შეცვლაზე ვფიქრობ ისევ და ისევ ოჯახის გამო რადგან სხვა უფრო დიდ ქალაქებში უფრო მეტი შესაძლებლობებია და მეტად შემეძლება ჩემს ოჯახზე ზრუნვა.“
(21 წლის, მამრ., ინჟინერია, ესპანეთი)

„არ ვფიქრობ რომ სხვა ქვეყანაში წავიდე და იქ გავაგრძელო კარიერა, საქართველოში მსურს მქონდეს ოჯახი და აქ მინდა დავიწყო საკუთარი კარიერა. სამოგზაუროდ ან სასწავლებლად წასვლა მსურს, მაგრამ სხვაგან ცხოვრება და იქ კარიერის დაწყება არა.“
(22 წლის, მდედრ., ფსიქოლოგია, საქართველო)

ჩვენი კვლევის მონაწილეების აზრით, თსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისთვის, მშობლის, მეუღლის ან მოქალაქის სოციალური იდენტობა უფრო მნიშვნელოვანი იყო ზოგიერთი სტუდენტის მომავალი იდენტობისთვის, ვიდრე კონკრეტული კარიერის არჩევა.

ISSN 1512-1801

როგორც რესპონდენტებტან საუბრისასა გამოიკვეთა, მათ კარიერულ მისწრაფებებზე გავლენას ახდენდა სკოლის დამთავრებამდე მიღებული გამოცდილება და ეს ჩამოყალიბდა, როგორც ცხოვრებისეული არჩევანი, რომლებიც წარმოდგენილია სტუდენტების კულტურული და სოციალური იდენტობის მიკუთვნებულობით. გარდა მატერიალური ფაქტორებისა, სხვების აზრი კარიერის არჩევის დროს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს და წარმატებული კარიერის პროდუქტი არა მხოლოდ მატერიალურია (ხელფასი), არამედ სოციალური სტატუს-ქვო სახელი და ის, თუ როგორ ფიქრობენ სუბიექტზე. პირველ საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემისას — რა კავშირია კულტურულ სოციალურ იდენტობასა და სტუდენტთა კარიერის არჩევას შორის — კვლევის მონაწილეებში გამოვლინდა/(ან) ხაზგასმულად წარმოჩინდა თანმიმდევრული კავშირი მონაწილეთა კულტურულ სოციალურ იდენტობასა და მოტივაციას შორის კონკრეტული კარიერის გასაგრძელებლად.

5. შედეგების ანალიზი და დისკუსია

დარგის სამეცნიერო ლიტერატურა აჩვენებს, რომ ახალგაზრდები მოტივირებული არიან ჰქონდეთ დაბალანსებული ცხოვრების სურვილი აკადემიის კონტექსტში ან მათი შემდეგი კარიერული ნაბიჯის ფარგლებში (Rice, Sorcinelli, Austin, 2000; Trower, 2008); თუმცა, ჩვენი კვლევის მონაწილე გრანადის უნივერსიტეტის სტუდენტები ეძებდნენ უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ დაბალანსებული ცხოვრების წესს: ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ინტეგრირებული ცხოვრება, ხშირად უნებლიედ აღმოაჩენდნენ, რომ მათი რასა ან ეთნიკური წარმომავლობა იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი: კვლევის ლათინოამერიკელ მონაწილეებს სურდათ მისაბაძი მაგალითი ყოფილიყვნენ სხვა ახალგაზრდა ლათინო-ამერიკელი მოსახლეებისთვის; ერთ-ერთ აფრიკელ სტუდენტს სურდა გამოეკვლია ნიგერიელი და აფროამერიკელი ქალები; მეორეს კი მიაჩნდა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გაემდიდრებინა ის ინფორმაცია, რაც ცნობილი იყო თავის საზოგადოებაში დიაბეტის შესახებ, რითაც თავის მხრივ, დაეხმარებოდა თავის სოციუმს, გარემოს სადაც ის გაიზარდა.

ჩვენი კვლევის მიხედვით კვლევის მონაწილე ქართველი სტუდენტები კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებლად ითვალისწინებდნენ თავიანთ სოციალური გარემოს და თავიანთი ოჯახების გამოცდილებას. თემები მიბმული იყო მონაწილეთა თვითკონცეფციასთან: ისინი ცდილობდნენ თავიანთი იდენტობის ინტეგრირებასა და თემების (ჯგუფური იდენტიფიკაცია) კვლევის მეშვეობით დაბრუნებას. კვლევის მონაწილეებს სურდათ დაეკავშირებინათ მათი კულტურული იდენტობა პროფესიულ საქმიანობასთან, შინაარსით/პროცესით, ისე, რომ აერთიანებდა მათ იდენტობასა და შეზღუდულ კონფლიქტურ ღირებულებებს.

ჩვენი კვლევის ზოგიერთი მონაწილის სურვილი იყო არა დისციპლინის/დარგის წინსვლაში მონაწილეობა, არამედ სოციალური სტატუსის ცვლილებება. იდეურად, ამას სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვადასხვა წყაროშიც ვხვდებით - პიროვნების კარიერული ამბიციები გადის არა კონკრეტული დარგის განვითარების ხელშეწყობაში, არამედ ინდივიდის სოციალური სტატუსის ძიებაზე (WinkleWagner et al., 2010). ისინი იდენტიფიცირდნენ ზოგადად ფაკულტეტებთან მაგრამ მათ, ასევე, იპოვეს სხვადასხვა აღიარება კულტურულ-სოციალურ იდენტობაში, რამაც თავის თავში მოიცვა

ISSN 1512-1801

,,სხვების“ პოზიციების გამყარება მათთან მიმართებაში - სოციალური სტატუსის იდეა გარკვეულწილად მიღწეულ იქნა (Tajfel, 1978; Tajfel & Turner, 1985).

,,სხვების“ აზრი საზოგადოებრივი საწყისებისთვის და ამ საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ, კურსდამთავრებულები განათლებაში ხედავენ განზოგადებულ სურვილს გააუმჯობესონ თავიანთი საზოგადოების ლიტერაციის დონე და თავადაც გახდნენ ამ პროცესის როგორც ბიძგი, ისე ნაწილი. ამ იდეის თანახმად, ინდივიდი ერთგვარი მისაბაძი ,,მოდელია“ როგორც სხვებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ასეთი ხედვები გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს კარიერაზე გაბატონებულ ვარაუდებს, რომელთა მიხედვითაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თეთრკანიანი მამაკაცები სამუშაოსა და ოჯახს (როგორც ,,უახლოესი სხვები“) ერთმანეთისგან მიჯნავენ Antony და Taylor (2001) (Cook et al., 2002). ეს უკანასკნელი მიდგომა ჩვენი კვლევის არც ერთი მონაწილის მოსაზრებას არ შეესაბამებოდა. სამაგიეროდ, ისინი საკუთარ თავს ხედავდნენ დოქტორის ან/და უფრო მაღალი სტატუსის მქონე მკვლევრების პოზიციაზე- აკადემიაში, მთავრობასა თუ ინდუსტრიაში, ,,სხვა“ ახალგაზრდებისთვის წარმატებული კარიერის მოდელირებისთვის. პროფესიონალურ რიგებში საკუთარი თავის ამგვარი ჩართვით, როგორც ფაკულტეტი ან მკვლევარი, ისინი ცდილობენ შექმნან უფრო ინკლუზიური ჯგუფი და ამით შეინარჩუნონ გამორჩეულობა ჯგუფში. ამ შემთხვევაში იდეურად, აქცენტი მაინც ,,სხვის“ ფენომენზეა გაკეთებული, რადგან ისინი ამას ჯგუფთან [სხვები] ინტეგრაციის მიზნით აკეთებენ (Tajfel, 1978; Tajfel & Turner, 1985).

6. დასკვნა

კვლევის მონაწილეების მცირე რაოდენობის მიუხედავად მაინც გამოიკვეთა საერთო აზრობრივი ტენდენცია. როგორც სტატიაში გამოჩნდა, აკადემიური კვლევების დიდი ნაწილის მიხედვით, ახალგაზრდები დაბალანსებული ცხოვრების სურვილის მოტივით ირჩევენ აკადემიურ საქმიანობას (Rice, Sorcinelli, Austin, 2000; Trower, 2008). კვლევის მონაწილე გრანადის უნივერსიტეტის სტუდენტები ცდილობდნენ შეექმნათ ინტეგრირებული ცხოვრების სტილი და ჰქონოდათ როგორც ეკონომიკური სტაბილურობა, ასევე თავიანთ სოციუმთან ახლო კავშირი. ინტერვიუს დროს რამდენიმე მათგანმა აღმოაჩინა, რომ მათი რასა ან ეთნიკური წარმომავლობა იყო მათი კარიერის დაგეგმვის პროცესის განმაპიროფებელი ფაქტორი. მაგ. კვლევის ლათინოამერიკელ მონაწილეებს სურდათ მისაბაძი მაგალითი ყოფილიყვნენ სხვა ახალგაზრდა (ლათინო-ამერიკელი) მოსახლეებისთვის.

კვლევის მონაწილე ქართველი სტუდენტები კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადად ითვალისწინებდნენ თავიანთ სოციალური გარემოს და თავიანთი ოჯახების გამოცდილებას. კვლევაში გამოჩენილი განსხვავებები შესაძლოა განპირობებული იყოს ქვეყნების თვისებრივი განსხვავებებით. ცხადია, ესპანეთი მეტად მდგრადი სახელმწიფოა, ვიდრე საქართველო, შესაბამისად სამუშაო მომავლის განსაზღვრა სტუდენტებისთვის ესპანმეთში უფო მარტივია, ვიდრე საქართველოში, რასაც სტუდენტს ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ სტაბილურობაზე აკეთებს დიდ აქცენტს.

ISSN 1512-1801

კვლევაში გამოიკვეთა რესპოდენტებს შორის მსგავსებებიც: ორივე კლასიფიკატორს (როგორც გრანადა, ისევე საქართველო) მონაწილეებს სურდათ დაეკავშირებინათ მათი კულტურული იდენტობა პროფესიულ საქმიანობასთან, შინაარსით/პროცესით, ისე, რომ აერთიანებდა მათ იდენტობასა და შეზღუდულ კონფლიქტურ ღირებულებებს. ასევე, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მონაწილისთვის მთვარი ფაქტორი იყო არა დისციპლინის/დარგის წინსვლაში მონაწილეობა, არამედ სოციალური სტატუსის ცვლილებება.

კვლევაში ჩართული პირების ნარატივის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტისთვის გზა არჩეული კარიერისკენ არ არის პირდაპირი და არ გულისხმობს, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტი აუცილებლად იმუშავებს წინასწარ არჩეულ დარგში. თითოეული სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას, გაჰყვეს თუ არა ამ გზას და აღნიშნულ გზაზე მათთვის [სტუდენტებისთვის/ კურსდამთავრებულთათვის] არის დამატებითი (სოციუმი-სხვები, რასა, გეოგრაფიული არეალი, მატერიალური აშ) ფაქტორები, რომლებიც კვლევამ გამოავლინა სოციალური იდენტობის თეორიის გამოყენებით. მთავარი ფაქტორი, რომლის ოპერაციონალიზაციაც მოახდინა თეორიამ (Congruence Method) ეს იყო ის, რომ სტუდენტის მიკუთვნებულობა რომელიმე სოციალური ჯგუფის მიმართ დიდ გავლენას ახდენს მის კარიერულ არჩევანზე.

კვლევის ეთიკური ნაწილი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და გრანადას უნივერსიტეტის (UGR Granada) ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ყოველი ინტერვიუს წინ ინტერვიუერი განუმარტავდა რესპოდენტებს ინტერვიუს ნებაყოფლობითობის შესახებ, აცნობდა მათ პროცედურებსა და ინტერვიუს ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: პირადი ინფორმაცია, მონაცემებისა და აუდიო ჩანაწერების კონფიდენციალურობასა და ანონიმურობა ა.შ. (მაგ. გამოყენება და შენახვა).

გარდა ამისა, ინტერვიუს დაწყებამდე მონაწილეებმა მკვლევრისგან მიიღეს საინფორმაციო წერილი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი კვლევისა შესახებ, ინტერვიუს დეტალების შესახებ. მონაწილეებს წინასწარ ეცნობათ, რომ მათ ნებისმიერ კითხვაზე შეეძლოთ თავის არიდება, შეეწყვიტათ ინტერვიუ და უარი ეთქვათ კვლევაში მონაწილეობაზე. ამის საფუძველზე, ინტერვიუს დაწყებამდე ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა თანხმობის ფორმას, რომ მათ მიერ გამოთქმული აზრები გამოყენებულ იქნებოდა სამეცნიერო მიზნებისთვის.

მადლობა

სტატია წარმოადგენს „ერასმუს +“ ის გაცვლითი პროგრამის პროგრამის სადოქტორო სტიპენდიის დროს ჩატარებულ კვლევას, რომელიც შედგა 2022 წელს ესპანეთში, გრანადას უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დახმარებით. გვსურს გადავუხადოთ, ფსიქოლოგიის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ მედეა დესპოტაშვილს პროგრამის განმავლობაში გამოხატული მხარდაჭერისთვის და Dr. Alfonso Conde Lacárcel-ს კვლევის მონაწილეებთან დაკავშირებისთვის და მხარდაჭერისთვის.

ISSN 1512-1801

ბიბლიოგრაფია:

1. Abes, E. S., Jones, S. R., & McEwen, M. K. (2007). Recon- ceptualizing the model of multiple dimensions of identity: The role of meaning-making capacity in the construction of multiple identities. Journal of College Student Development, 48, 1-22.
2. Austin, A. E., & McDaniels, M. (2006). Using doctoral education to prepare faculty to work within Boyer's four domains of scholarship. New Directions for Institutional Research, 129, 51-65.
3. Ashforth, B. E., & Mael, F. (1989). Social identity theory and the organization. Academy of management review, 14(1), 20-39.
4. Bengtsson, M. (2016). How to plan and perform a qualitative study using content analysis. NursingPlus Open, 2, 8–14. https://doi.org/10.1016/j.npls.2016.01.001
5. Constantine, M. G., Miville, M. L., Warren, A. K., Gainor, K. A., & LewisColes, M. E. L. (2006). Religion, spirituality, and career development in African American college students. *Career Development Quarterly, 54*, 227-241.
6. Denecke, D. D., Frasier, H. S., & Redd, K. E. (2009). The Council of Graduate Schools' PhD completion project. In R. G. Ehrenberg & C. V. Kuh (Eds.), *Doctoral education and the faculty of the future* (pp. 35-52). Ithaca, NY: Cornell University Press.
7. Denson, N., & Chang, M. J. (2009). Racial diversity matters: The impact of diversityrelated student engagement and institutional context. *American Education Research Journal, 46*, 332-353.
8. Gardner, S. K. (2010). Doctoral student development. In. S. K. Gardner & P. Mendoza (Eds.), *On becoming a scholar* (pp. 203-222). Sterling, VA: Stylus.
9. Gardner, S. K., & Mendoza, P. (2010). Introduction. In. S. K. Gardner and P. Mendoza (Eds.), *On becoming a scholar* (pp. 3-10). Sterling, VA: Stylus.
10. Graneheim, U. H., Lindgren, B.-M., & Lundman, B. (2017). Methodological challenges in qualitative content analysis: A discussion paper. Nurse Education Today, 56, 29–34. https://doi.org/10.1016/j. nedt.2017.06.002
11. Haley, K.J., Jaeger, A.J., & Levin, J.S. (2014). The Influence of Cultural Social Identity on Graduate Student Career Choice. Journal of College Student Development 55(2), 101-119. doi:10.1353/csd.2014.0017.
12. Haley, K. J. (2006). Graduate education experience and career paths of women faculty in higher education administration [Doctoral dissertation]. Retrieved from http://repository.lib. ncsu.edu/ir/bitstream/1840.16/3135/1/etd.pdf
13. Harvey, M., Novicevic, M. M., Zikic, J., & Ready, K. (2007). How to manage multiple faculty identifications during change. Multicultural Education & Technology Journal.
14. Hesse-Biber, S. N., & Leavy, P. (2006). The Practice of Qualitative Research. Thousand Oaks, CA: Sage Publications.
15. Holstein, J. A., & Gubrium, J. F. (2003). Inside Interviewing. London: Sage
16. Jones, S. R., & McEwen, M. K. (2000). A conceptual model of multiple dimensions of identity. Journal of college student development, 41(4), 405-414.
17. Kämmer, J. (2017). Ehemalige Gefüchtete und ihre Sichtweise auf die Flüchtlingskrise in Deutschland [Unpublished undergraduate thesis]. University of Luxembourg.
18. Kuckartz, D. (2014). Qualitative Inhaltsanalyse. Methoden, Praxis, Computerunterstützung (2nd ed.) Weinheim, Base: Beltz Juventa
19. Labov, W. (1972). Sociolinguistic Patterns. Philadelphia: University of Pennsylvania Press.

ISSN 1512-1801

20. Mayring, P. (2010). Qualitative Inhaltsanalyse: Grundlagen und Techniken (11th ed.). Beltz.
21. Merriam, S. B. (1998). Qualitative research and case study applications in education. San Francisco, CA: JosseyBass.
22. Merriam, S. B. (2009). Qualitative research: A guide to design and implementation. San Francisco, CA: JosseyBass.
23. Saldana, J. (2009). The coding manual for qualitative researchers. Thousand Oaks, CA: SAGE.
24. Schreier, M. (2014). Varianten qualitativer Inhaltsanalyse: Ein Wegweiser im Dickicht der Begrifichkeiten. Forum: Qualitative Social Research, 15(1), Art. 18. https://doi.org/10.17169/fqs-15.1.2043
25. Tajfel, H. (1978). The achievement of group differentiation. In H. Tajfel (Ed.), *Differentiation between social groups: Studies in the social psychology intergroup relations* (pp. 77-98). London, England: Academic Press.
26. Tajfel, H., & Turner, J. C. (1985). The social identity theory of intergroup behavior. In S. Worchel & W. G. Austin (Eds.), *Psychology of intergroup relations* (pp. 7-20). Chicago, IL: NelsonHall.
27. Tierney, W. G., & Rhoads, R. A. (1993). *Enhancing promotion, tenure and beyond: Faculty socialization as a cultural process* (ASHEERIC Higher Education Report, No. (6). Washington, DC: George Washington University, ERIC Clearinghouse on Higher Education.
28. Tinto, V. (1993). *Leaving college: Rethinking the causes and cures of student attrition* (2nd ed.). Chicago, IL: University of Chicago Press.
29. Eendler, C, Bridgeman, B., Cline, F., Millett, C., Rock, J., Bell, N., & McAllister, P. (2010). *The path forward: The future of graduate education in the United States.* Princeton, NJ: Educational Testing Service.
30. Whiston, S. C., & Keller, B. K. (2004). The influences of the family of origin on career development: A review and analysis. *Counseling Psychologist, 32*, 493-568.
31. WinkleWagner, R., Johnson, S. D., MorelonQuainoo, C., & Santiague, L. (2010). A sense of belonging: Socialization factors that influence the transition of students of color into advanceddegree programs. In. S. K. Gardner & P. Mendoza (Eds.), *On becoming a scholar* (pp. 179-199). Sterling, VA: Stylus.

Article received 2023-02-26